<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ოთარ ჩიქოვანის ქუჩა
ბენიამინ ჩხაკვეშვილის ქუჩა
ნორიოს აღმართი
ნორიოს I შესახვევი
ივანე მიქელაძის ქუჩა
ივანე მიქელაძის შესახვევი
ოთარ ნენელაშვილის IV შესახვევი
NAPR
1 : 1293
გეოგრაფიული (გრძედი,გა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

"19" 11 2019 წ.
№ 010107-465/345
თქვ. № _____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოგიდგენთ აკადემიის პრეზიდიუმის 2019 წლის 31 ოქტომბრის №№ 63 და 64 დადგენილებებს აკადემიკოსების ნანა ხაზარაძისა და გურამ თევზაძის სახელის უკვდავყოფის შესახებ და მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ მათი ღვაწლი და დამსახურება ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, მათი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმიანობა და მიანიჭოთ აკადემიკოს ნანა ხაზარაძის და აკადემიკოს გურამ თევზაძის სახელები თბილისის რომელიმე ქუჩას.

პატივისცემით,

პრეზიდენტი

გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 63

2019 წლის 31 ოქტომბერი

აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის
უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ თვალსაჩინო მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიკოს ნანა ხაზარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ისტორიის კვლევის საქმეში.

ნ. ხაზარაძე 300-მდე სხვადასხვაენოვანი სამეცნიერო ნაშრომის, 16 წიგნის, 6 სახელმძღვანელოს ავტორი იყო. მის მეცნიერულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძვ. წ. I ათასწლეულის იეროგლიფური ლუვიური წარწერების კლასიფიკაციისა და სტრუქტურის საკითხების შესწავლას. მან პირველმა ისტორიულ წყაროდ გამოიყენა თავად იეროგლიფი, განიხილა იგი, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ნიშანი და მასში ჩადებული სემანტიკური კოდი გამოავლინა. ნ. ხაზარაძე იყო 200-მდე სამეცნიერო ფორუმის მონაწილე.

ნ. ხაზარაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც. მისი თაოსნობით 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. 2015 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტს.

ნ. ხაზარაძე იყო საქართველოსა და უცხოური საზოგადოებების წევრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე. მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მიღებული ჰქონდა ე. თაყაიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიები, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელი, ღირსების ორდენი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ მხარი დაუჭირა წინადადებას აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის უკვდავყოფის შესახებ.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების თხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში აკადემიკოს ნანა ხაზარაძის დამსახურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანს მოგ. შემსრ.
აკადემიკოსი რ. ხუროძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 64

2019 წლის 31 ოქტომბერი

აკადემიკოს გურამ თევზაძის სახელის
უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აღნიშნა, რომ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიკოს გურამ თევზაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილოსოფიის წინაშე.

გურამ თევზაძე 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე. მისი მოღვაწეობის გამორჩეული სფერო იყო როგორც მსოფლიო, ისე ქართული ფილოსოფიის ისტორია. გ. თევზაძის ფუნდამენტური გამოკვლევებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“, „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა“, „იმანუელ კანტი“ და სხვ. მას ეკუთვნის ექვს წიგნად გამოცემული ფილოსოფიის ისტორიის კურსები ანტიკურობიდან დღემდე. გ. თევზაძემ ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა როგორც გამოჩენილ ფილოსოფოსთა, ისე ქართული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური აზრის წარმომადგენელთა შემოქმედებას. დიდია გ. თევზაძის წვლილი ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის საქმეში, „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში.

გ. თევზაძე 1971-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიის კათედრას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2005 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშია; 1993-2007 წლებში ეკავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, 2002-2013 წლებში კი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობები.

გ. თევზაძე დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ მხარი დაუჭირა წინადადებას აკადემიკოს გურამ თევზაძის სახელის უკვდავყოფის შესახებ.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების თხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში აკადემიკოს გურამ თევზაძის დამსახურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვ. შემსრ.
აკადემიკოსი რ. სურმე

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032315264**
თარიღი: **01/06/2023**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში არსებული პროცედურების გატარება.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ნანა ხაზარაძე

(1931-2019)

აკადემიკოსი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,

დაიბადა თბილისში, 1955 წელს დაამთავრა მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1957-1959 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ლაბორანტია; 1959-1975 წწ. განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1976-1986 წწ. განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1986-1990 წწ. განყოფილების წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი; 1990-2005 წწ. ინსტიტუტის ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი; 1990–2006 წწ. ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი; 2005-2006 წწ. ამავე განყოფილების გამგე; 2009-2019 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; 1990-2019 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს 214 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 წიგნი, აქედან 3 თანაავტორობით, 3 სახელმძღვანელო. იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1974 წელს, სადოქტორო დისერტაცია - 1986 წელს. 1992 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ნანა ხაზარაძე იყო ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის კონსულტანტი და რედკოლეგიის წევრი; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის წევრი; ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო საბჭოს წევრი; კავკასიის ხალხთა ისტორიის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, წევრი. ასევე იყო მწიგნობართა ასოციაციის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაცია, თავჯდომარე ; 1985 წელს მიენიჭა სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია; 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით; 2010 წელს ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემიებით დაჯილდოვდა, 2012-2019 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

გარდაიცვალა 2019 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.